ხელშეკრულება № 02-03/182
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 27 ივლისი 2020 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE“ (შემდგომში _ მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის სალომე კიკვაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“–ს მიერ 2020 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აჭარის არ ბიუჯეტის სახსრებით (პროგრამები: 070712; 070707 და 070701), საკანცელარიო და სამეურნეო საქონლის (CPV კოდები: 30197320; 39224000; 39525800; 39831000; 39830000; 18424000; 22816100; 30237000; 30190000; 30230000; 30141000; 44510000; 19640000; 39224340;) (შემდგომში „საქონელი“) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1, დანართი №2 და დანართი №3 - ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 819,60 (რვაას ცხრამმეტი ლარი და 60 თეთრი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. საქონლის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ერთ ეტაპად, შემსყიდველის მისამართის მიხედვით, საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება–ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი“–ს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი ამირან გაგუა.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ასევე მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს შესყიდვის საქონლის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია: დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.2. მიმწოდებელს მიერ უხარისხო საქონლის მოწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. 10 კალენდარული დღის განმავლობაში არსებული ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1. პუნქტის შესაბამისად.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის (მათ შორის, მიწოდების ვადების დარღვევისთვის) დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან.

8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ

გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი.

13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

13.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი”	„მიმწოდებელი“
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“	შპს „პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE“
ის. ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №46ა	მის. ქ. ბათუმი, ი.ნონეშვილის ქ. №60, ბ. 27
ს/კ 445399391	სს ,,პროკრედიტ ბანკი’’ ბანკის კოდი MIBGGE22 ა/ა № GE13PC0193600100011836 ს/კ 445427119
დირექტორი	დირექტორი
გოჩა ბერიძე	სალომე კიკვაძე

ფასების ცხრილი
პროგრამა 070701

დანართი№1

№	CPV კოდი და დასახელება	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	CPV კოდი 22816100 - ბლოკნოტები	ბლოკნოტი 80ფურც. DELI	ცალი	2	4.40	8.80
2	CPV კოდი 30237000 - კომპიუტერის ნაწილები, აქსესუარები და სათადარიგო ნაწილები	Defender მაუსი Accura Ms-970 3 ღილაკი, 100 dpi Grey/Orange	ცალი	2	11.90	23.80
3	CPV კოდი 30190000 - სხვადასხვა საოფისე მოწყობილობა და საკანცელარიო ნივთები	6000-ჩასანიშნი ქაღალდი ყუთით 91/87 (DELI)	შეკვრა	4	3.85	15.40
4		6010 კალამი ბურთულიანი HL -777A ლურჯი (HELIO)	ცალი	100	0.15	15.00
5	CPV კოდი 30230000 - კომპიუტერთან დაკავშირებული მოწყობილობები	CD-R დისკი DELI 700 MB 50xSpindle	შეკვრა	50	0.80	40.00
6	CPV კოდი 30141000 - გამომთვლელი მანქანები/კალკულატორები	6549-კალკულატორი დიდი (DELI)	ცალი	2	15.20	30.40
7	CPV კოდი 39224000 - ცოცხები და ჯაგრისები და სხვა სხვადასხვა ტიპის ნივთები	ცოცხი	ცალი	2	9.00	18.00
8	CPV კოდი 44510000 - ხელსაწყოები	ხის ტარი (პირველი ხარისხი)	ცალი	2	5.00	10.00
9	CPV კოდი 39525800 - საწმენდი ტილოები	მიკროფიბრა მაგიდის ტილო 38*38	ცალი	5	1.60	8.00
10		მიკროფიბრა იატაკის ტილო	ცალი	5	6.00	30.00
11	CPV კოდი 19640000 - პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები ნარჩენებისა და ნაგვისთვის	ნაგვის ტომარა 80*110 (10 ცალი)	რულონი	5	2.80	14.00
12		ნაგვის ტომარა 55*60	შეკვრა	5	1.20	6.00
13	CPV კოდი 39831000 - სარეცხი საშუალებები	თხ.საპონი გრანდ შარმი ანტიბაქტერიული 500 გრ	ცალი	3	3.50	10.50
14		(NURECE) თხევადი საპონი 5კგ*4	ცალი	1	10.00	10.00
15		York ჭურჭლის სარეცხი ღრუბელი MAXI 5ცალიანი (10x7x2.9 სმ)	ცალი	2	3.20	6.40
	ჯამი		ლარი			246.30

ფასების ცხრილი
პროგრამა 070707

№	CPV კოდი და დასახელება	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	CPV კოდი 39525800 - საწმენდი ტილოები	York სამზარეულოს საწმენდი ტილო 35 x 35 სმ 3ც	ცალი	2	2.10	4.20
2	CPV კოდი 39831000 - სარეცხი საშუალებები	გრანდ შარმი თხ.საპონი სპარსული ლაიმი 500გრ	ცალი	2	3.30	6.60
3		გრანდ შარმი თხ.საპონი ტროპიკი 500 გრ	ცალი	2	3.30	6.60
4		ჟელე moon 240გრ	შეფუთვა	5	1.00	5.00
5	CPV კოდი 39830000 - საწმენდი საშუალებები	Domestos დომესტოსი 3.5 გრ	ყუთი	2	12.00	24.00
6		ჟელე moon 240გრ	შეფუთვა	20	1.00	20.00
7	CPV კოდი 18424000 – ხელთათმანები	ხელთათმანი სამეურნეო ლატექსის L (12)	წყვილი	4	1.40	5.60
8	CPV კოდი 19640000 – პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები ნარჩენებისა და ნაგვისთვის	ნაგვის ტომარა 55*60	შეკვრა	3	1.00	3.00
9		ნაგვის ტომარა 80*10 (10ცალი)	რულონი	10	2.80	28.00
10		ნაგვის ტომარა 55*60	შეკვრა	10	1.20	12.00
11	CPV კოდი 30190000 - სხვადასხვა საოფისე მოწყობილობა და საკანცელარიო ნივთები	ჩასანიშნი ქაღალდი ყუთით (DELI)	შეკვრა	10	3.85	38.50
12		კალამი ბურთულიანი HL – 777A ლურჯი (HELIO)	ცალი	100	0.20	20.00
13		ფაილი A4 0.40 (100ც)	შეკვრა	3	5.70	17.10
14	CPV კოდი 22816100 - ბლოკნოტები	ბლოკნოტი ა5 ტყავის ყდით, უჯრა	ცალი	2	7.65	15.30
15		ბლოკნოტი A5 120 ფურც#7912 (DELI)	ცალი	13	6.20	80.60
16	CPV კოდი 39241200 - მაკრატლები	მაკრატელი (DELI)	ცალი	3	6.50	19.50
17	CPV კოდი 39514100 - ხელსახოცები	ხელსახოცი Z CLASSIC PLUS ST14 (პოლ.)	ცალი	24	2.60	62.40
18	CPV კოდი 39224340 - სანაგვე ყუთები	ნაგვის ურნა პედლიანი 10ლ	ცალი	5	22.00	110.00
	ჯამი		**ლარი**			**478.40**

დანართი№3

ფასების ცხრილი
პროგრამა 070712

№	CPV კოდი და დასახელება	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	CPV კოდი 30197320 - სტეპლერები	3259-სტეპლერი 24/6 20ფ (DELI)	ცალი	3	3.10	9.30
2	CPV კოდი 30141000 - გამომთვლელი მანქანები/კალკულატორები	6549-კალკულატორი დიდი #1654 (DELI)	ცალი	3	15.20	45.60
3	CPV კოდი 39224000 - ცოცხები და ჯაგრისები და სხვა სხვადასხვა ტიპის ნივთები	ცოცხი	ცალი	5	8.00	40.00
	ჯამი		**ლარი**			**94.90**

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“

დირექტორი

გოჩა ბერიძე

შპს „პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE“

დირექტორი

სალომე კიკვაძე